

## განმარტებითი ბარათი

### „ელექტროენერჯის გადამცემი ქსელის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის - დადგენილების გამოცემის თაობაზე

#### დადგენილების გამოცემის მიზეზი

2019 წლის 27 დეკემბერს ძალაში შევიდა „ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონი (შემდგომში - კანონი), რომლითაც ძალადაკარგულად გამოცხადდა „ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს 1997 წლის 27 ივნისის კანონი.

კანონი, სხვა საკითხებთან ერთად, განსაზღვრავს და აწესრიგებს საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (შემდგომში - კომისია) მარეგულირებელი უფლებამოსილების ფარგლებს, ფუნქციებსა და მოვალეობებს და კომისიის მიერ მათი განხორციელების წესსა და პროცედურებს. კანონი აგრეთვე განსაზღვრავს ელექტროენერჯის გადამცემი ქსელის წესების შემუშავებასა და დამტკიცებასთან დაკავშირებულ საკითხზე.

კანონის 60-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, „ელექტროენერჯის გადამცემი ქსელის წესებს შეიმუშავებს გადამცემი სისტემის ოპერატორი და ამტკიცებს კომისია. გადამცემი სისტემის ოპერატორი უზრუნველყოფს ყველა დაინტერესებულ პირთან კონსულტაციის გავლას და ელექტროენერჯის გადამცემი ქსელის წესების შემუშავების პროცესში მათ სათანადო მონაწილეობას. ელექტროენერჯის ქსელის წესების პროექტის ენერჯეტიკული გაერთიანების კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით გადამცემი სისტემის ოპერატორი უფლებამოსილია რეკომენდაციისთვის მიმართოს ენერჯეტიკული გაერთიანების სამდივნოს. გადამცემი სისტემის ოპერატორი მოქმედებს ამ კანონის 97-ე მუხლით გათვალისწინებული ტექნიკური წესებისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

ელექტროენერჯის გადამცემი ქსელის წესები ადგენს: ა) ელექტროენერჯის გადამცემი ქსელის უსაფრთხოებისთვის საჭირო საოპერაციო მოთხოვნებს; ბ) ელექტროენერჯეტიკული სისტემის ოპერირების პროცედურებს ნორმალურ და საგანგებო რეჟიმებში, გაუმართაობის პირობებში, ფორსმაჟორულ სიტუაციებში და სხვა სახის შეფერხებების დროს; გ) ელექტროენერჯის გადამცემ სისტემასთან მესამე პირის დაშვების პროცედურას, წესსა და პირობებს; დ) ელექტროენერჯის აღრიცხვის მეთოდს, აღრიცხვის მოწყობილობის ფუნქციურ მოთხოვნებსა და სიზუსტის კლასს ტექნიკური წესებით; ე) დისპეტჩერიზაციის წესსა და პირობებს, მათ შორის, გადამცემი სისტემის ოპერატორის მიერ დისპეტჩერიზაციასთან დაკავშირებით გასაწევ მომსახურებას, რომლის დროსაც უზრუნველყოფილი უნდა იქნეს არსებული წარმოების ობიექტების მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის ან/და ტრანსსასაზღვრო გადადინების შედეგად მიღებული ელექტროენერჯის ეკონომიკური უპირატესობის (ელექტროენერჯის მიწოდების წყაროების დახარისხება ეკონომიკური კრიტერიუმის მიხედვით) და ელექტროენერჯეტიკული სისტემის ტექნიკური შეზღუდვების გათვალისწინება; ვ) ელექტროენერჯის გამანაწილებელ ქსელთან ან ელექტროენერჯის გადამცემ ქსელთან

მიერთებული ობიექტების ელექტრულ ქსელთან მიერთების ზოგად წესებსა და პირობებს, ელექტროენერჯის გამანაწილებელი ქსელის წესებისა და სხვა მოქმედი წესების შესაბამისად, იმდენად, რამდენადაც აღნიშნული აუცილებელია ელექტროენერგეტიკული სისტემის დისპეტჩერიზაციისთვის; ზ) ელექტროენერგეტიკული სისტემის დაბალანსების პირობებს, რომლებიც სისტემის რეალურ საჭიროებებს ასახავს და გადამცემი სისტემის ოპერატორის ხელთ არსებულ უმცირესი ღირებულების რესურსებს ითვალისწინებს; თ) ელექტროენერჯის ბალანსის შემუშავების წესს. ელექტროენერჯის ბალანსით განისაზღვრება ელექტროენერჯის წარმოებისა და სისტემაში მიწოდებისა და მოთხოვნის საპროგნოზო მონაცემები და იგი გამოიყენება დისპეტჩერიზაციისა და დაბალანსების მიზნებისთვის. ელექტროენერჯის ბალანსი შემუშავდება და განახლდება პერიოდულად, ურთიერთდაკავშირებული სისტემების ოპერატორებსა და სხვა შესაბამის სისტემით მოსარგებლებთან თანამშრომლობით და ქვეყნდება გადამცემი სისტემის ოპერატორის ვებგვერდზე; ი) ელექტროენერჯის გადამცემ ქსელში გადატვირთვის მართვის წესს; კ) ელექტროენერჯის გადამცემი ქსელის ოპერირებისა და განვითარების დაგეგმვის პროცედურას, კრიტერიუმებსა და მეთოდოლოგიას და კანონით განსაზღვრულ სხვა ვალდებულებებს.

დადგენილების გამოცემა არ საჭიროებს ხარჯების დაფინანსებას, არ იწვევს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს და გავლენას არ მოახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ან ხარჯვით ნაწილზე.

დადგენილების პროექტის ავტორია სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“.